№ 212 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. კვირა, სექტემბრის 19 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამკლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიციალური განყოფილება.

სახელმწიფო გიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო შემოსავალი 1919—20 წლისათვის.

№№ რიგ.			შემოსავლის სახელწოდება.	ნავარაუდევია
			განყოფილება 1.	
			პირდაპირი გადასახადი.	
1		1	უძრავ ქონებათა, სამხედრო, მიწის ერთდროული და შემოსავლის სახელმწიფო გადასახადი	56020000
				51630000
2		2	სახელმწიფო სარეწავი გადასახადი	1279700
3		3	გადასახადი თანხების შემოსავლისა	
			ჯამი	108929700
			განყოფილება 2.	
			არაპირდაპირი გადასახადი.	
4		4	სასმელების გადასახადი	72100000
5		5	თამბაქოს შემოსავალი	60900000
6		6	პაპიროსის გილზისა და პაპიროსის დაჭრილი ქაღალდის შემოსავალი	2001000
				300000
7		7	ჩაის აქციზი	3000000
8		8	ნავთის ნაწარმოები	1000000
9		9	წუმწუმის აქციზი	31500000
10		10	საბაჟოების შემოსავალი	
			ჯამი	170801000
			განყოფილება 3.	
			ბაჟი.	
11		11	საერობო, სასამართლო, საკანცელარიო და საბუთების ჩაწერისა	15733000
				8010000
12		12	გადასული ქონების	14000000
13		13	საქონლის გემების სანავთსადგურო	100000
14	14	15	ცეცხლისაგან დაზღვეული ქონების	2675500
15	15	16	სხვა და სხვა სახელმწიფო ბაჟი	
			ჯამი	40518500
			განყოფილება 4.	
			მთავრობის რეგალიები.	
16	16	17	სამთო შემოსავალი	32700
17	17	19	ფოსტის შემოსავალი	10200000
18	18	20	ტელეგრაფისა და ტელეფონის შემოსავალი	33624000
			ჯამი	43856700
			განყოფილება 5.	
			სახაზინო ქონება და თანხები.	
19	19	22	სამრეწველო და საღალო შემოსავალი	416509160
20	20	23	ღვინის შემოსავალი	15000000
21	21	24	სახაზინო რკინის გზები	315000000
22	22	25	სახაზინო ქარხნები, სატეხნიკო დაწესებულებანი და საწყობნი.	860600
			ჯამი	747369760
			განყოფილება 6.	
			სახელმწიფოს ხაზინის ანაზღაურებული ხარჯები.	
23	23	31	დაბრუნება სესხისა და სხვა ხარჯისა	1103964
24	24	32	დახმარება სახელმწიფო ხაზინისთვის გარეშე წყაროებიდან	11152
			ჯამი	1115116
			განყოფილება 7.	
			სხვა და სხვა გვარი შემოსავალი.	
25	25	24	სხვა და სხვა წვრილმანი და შემთხვევითი შემოსავალი	3473709
			ჯამი	3473709
			განყოფილება 8.	
			საკრედიტო ოპერაციებისაგან.	
26	26	37	ხაზინის 5% ვალდებულებათა გამოსყიდვა	47500000
			ჯამი	47500000
			სულ	1163564485

შენიშვნა: ქვედა ციფრები უჩვენებენ არსებულ სახელმწიფოების (ნომენკლატურის) რიგს.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

სილნაღის სამაზრო საერობო გამგეობა ამით აცხადებს

ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ერობის სასურსათო განყოფილების გამგე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გველესიანი სამსახურში ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

898 1—1 **საერობო გამგეობა.**

ტფილისის მაზრის ერობა.

თავისუფალია მედიკო-სანიტარული განყოფილების გამგის და მაზრის მილიციის უფროსის ადგილები. თხოვნები მიიღება გამგეობის სახელზედ. რუსთაველის პროს. 6.

2790 1—1

არა ოფიციალური განყოფილება.

გარეშე საქ. მინისტრის ე. ბ. გეგეჭკორის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. ბ. გეგეჭკორმა რომის გაზეთის „ტრიბუნა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე ცდილობდა მახლობელი და მეგობრული დამოკიდებულება დაეჭირა დასავლეთ ევროპის კულტურულ სახელმწიფოებთან. ამ გვარ დამოკიდებულების განვითარებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საქართველოში იმყოფებიან ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები და პირიქით ევროპაში არიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც ყოველგვარ ღონისძებას ღებულობენ, რათა ევროპას გააცნონ საქართველო და დაიკავონ მასთან მჭიდრო კავშირი. საქართველოს განვითარება ეკონომიურ, კულტურულ და ფინანსიურ ფარგლებში აყენებს მთელ რიგს ისეთ საკითხებისას, რომლებიც დაუყონებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ. ამ საკითხების შესახებ საქართველოს დედა ქალაქიდან ევროპის სატახტო ქალაქებში მიწერ-მოწერას დიდი დრო უნდება და ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ სცნო პირდაპირი მოლაპარაკება გამართოს ევროპის პოლიტიკის ხელმძღვანელებთან. იტალიის შესახებ ე. გეგეჭკორმა სთქვა: მე ბედნიერი ვარ განუცხადო იტალიანურ გაზეთის თანამშრომელს, რომ ქართველი ხალხი აღსავსეა იტალიისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობებით. კარგად ვიცნობ იტალიას, დიდი ხანია მიყვარს ის და ვიხიბლები მით. იტალია პირველი იყო, სხვა სახელმწიფოთა შორის, რომელმაც საქართველოსან დაიკავა კავშირი და მხარი დაუჭირა მის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას. იტალიაში მე ის მიზანი მაქვს, რაც სხვაგან და ვფიქრობ საქართველოსადმი მეგობრულად გაწყობილი სახელმწიფოები დავიხმარიოთ ამ მიზნის შესრულებაში. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ იტალია მეგობრულადაა განწყობილი საქართველოსადმი. რაც სხვათა შორის ამერიკის ნოტაზე რუსეთის საკითხის შესახებ გაცემულმა პასუხმაც დაამოწმა. ამ ნოტის შესახებ მე გარკვეულად შემიძლია ვსთქვა: ყოველ ქართველს განურჩევლად პოლიტიკურ მიმართულებისა და საზოგადოებრივ მდგომარეობისა ძლიერ დაამწუხარებს ის გარემოება, რომ შეერთებული შტატები, რომლებიც ამას წინად ერთა თვითგამორკვევის მხურვალე დამცველად გამოდიოდა, ახლა ერთი კალამის მოსმით ქართველი ხალხის უდავო ისტორიულ და ეროვნულ უფლების თვითგამორკვევას უარყოფს. მოვალედ ვრაცხ თავს განვაცხადო, ჩემი ღრმა პროტესტი ამერიკის ნოტაში გამოთქმულ საქართველოს დამოუკიდებლობის სამტრო აზრების წინააღმდეგ. ამასთანავე უნდა განვაცხადო თუ საქართველო მაშინ როდესაც აღმოსავლეთში ანარქია ბობოქრობს ისე სდგას, როგორც სალი-კლდე და მედგრად იცავს თავის თავისუფლებას ყოველგვარ საფრთხისაგან, ამაში ის თავის თავს თავის დემოკრატიის შემოქმედებით ძალებს უნდა უმადლოდეს. კოლბს შეუძლია არ დაგვიჯეროს ჩვენ, მაგრამ უნდა დაუჯეროს შეერთებულ შტატების წარმომადგენელს საქართველოში, რომელმაც ამას წინად დაასრულა იქ მუშაობა. გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა მეამბოხე რესპუბლიკა არაა, როგორც ეს ნოტაშია აღნიშნული. არა, საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიული და უდავო ფაქტია. თუ ზოგიერთი სახელმწიფო დღეს ამას ანგარიშს არ უწევს, ამა თუ იმ მოსაზრებით, ხვალ გაუწევს, ვინაიდან ასეთი პატარაა მაგრამ სულით ძლიერი ხალხის ნება, ამერიკის ნოტა აღიარებს ფინლანდიის, პოლონეთის და სომხეთის ლტოლვის დამოუკიდებლობისაკენ, იმიტომ რომ ეს მხარეები ძალით იყო რუსეთთან შეერთებული, მაგრამ ამავე უფლებას არ გვანიჭებს ჩვენ იმ მოსაზრებით, რომ საქართველო 120 წლის წინად ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთსო. ჩვენ ძლიერ შორსა ვართ იმისაგან რომ უარვყოთ ამა თუ იმ ერის თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ სამართლიანად მიმაჩნია ვიკითხო: შეიწუხა თავი კი კოლმა, რომ გასცნობოდა რუსეთთან საქართველოს შეერთების პირობებს. თუ ამის გაგებაზე მან თავი შეიწუხა, მას ეცოდინება, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდვა ურთიერთ ხასიათის ხელშეკრულება, რომელიც სახელმწიფოს სახელმწიფოსთან შეთანხმებას წარმოადგენდა. ეს ხელშეკრულება რუსეთს ავალდებულებდა საქართველოს წინაშე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორია დაეცვა უცხოეთის საფრთხისაგან. ეს ხელშეკრულება რუსეთმა დიდი ხანია დაარღვია. 3 წლის წინად ბოლშევიკურმა რუსეთმა რუსეთის უკანასკნელი ვალდებულება ქართველი ხალხისადმი უარყო. იმ დროს როდესაც მსოფლიო ომი იყო რუსეთის ჯარმა დასტოვა ამიერ-კავკასიის ფრონტი და საბჭოთა დიპლომატიამ კი ბრესტის ხელშეკრულებით ბათომი ოსმალეთს მისცა, თუმცა ბათომის ოლქი საქართველოს ტერიტორიის ნაწილს შეადგენდა. ჩვენ არ გვქონდა შემთხვევა და შესაძლებლობა აღვედგინა თანამედროვეობა ხსოვნაში ძველი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება. ქართველ ხალხს დარჩა მხოლოდ ერთი საშვალება-ხელახლა შესდგომოდა თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრების შენებას. მე დარწმუნებული ვარ, როცა შეერთებული შტატები გაეცნობიან ამ აქტებს, აღიარებენ ჩვენს უფლებას დამოუკიდებლობაზე, როგორც ცნობდა მას რუსეთის მთავრობა და როგორც იცნობს ამას ერთა ლიგა. ჩვენ მრავალი მსხვერპლი შევსწირეთ დემოკრატიზმის პრინციპის განმტკიცებას

ამიერ კავკასიაში საერთაშორისო უთანხმოების გადაწყვეტის დროს და ამიტომ ხალხთა ლიგის მიერ აღიარებულ ძირითადი იდეას ჩვენ ვსთვლით ჩვენი დროის საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს იდეათ. დასასრულ ე. პ. გეგეჭკორმა კორესპონდენტის კითხვაზე გაარჩევს თუ არა ერთა ლიგა თავის უახლოეს კრებაზე საქართველოს საკითხს, უპასუხა:— „ეჭვი არ მაქვს, რომ საქართველოს საკითხი დადებითად გადაწყდება, რადგან ერთა ლიგა არის დაწესებულება რომლის მიზანია მოაგვაროს ხალხთა შორის დამოკიდებულება დამყარებული უფლებიანობაზე და სამართლიანობაზე. საქართველოს ხალხის თავისუფლების, მისი უდავო უფლების, დამოუკიდებლობის და მშვიდობიანობის სურვილის უარყოფა, იქნებოდა ძალადობა ხალხზე და უფლებრივი ნორმების დარღვევა. მე არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ამას იზამს ერთა ლიგა, რადგან ეს იქნებოდა მაჩვენებელი იმისა, რომ თვით ერთა ლიგას არა სწამს ის იდეალები რომლის განსახორციელებლად და განსამტკიცებლად არის ის მოწვეული.

რატომ არ შეუშვეს საქართველოს მუშათა დელეგაცია საბჭოთა რუსეთში?

ამის შესახებ საქართველოში არსებული რუსეთის სოციალ-ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის საინფორმაციო ბიურო შემდეგს გადმოგვცემს:

1) „ეს დელეგაცია არ წარმოადგენს საქართველოს მუშათა კლასის წარმომადგენელს, რადგან მასში სრულიად არ შედიან მუშა-კომუნისტები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ საქართველოს პროფესიონალურ კავშირებზე;

2) დელეგაციაში შედიან, ქართველ მენშევიკების მთავრობის პარტიის წარმომადგენელთა უმრავლესობა. დელეგაცია მიდის მთავრობის ხარჯით—ყოველივე ეს და ბევრი გვაეჭვებს, რომ ეს დელეგაცია უნდა ჩაითვალოს არა მუშათა კლასის დელეგაციათ, არამედ მთავრობის დელეგაციათ;

3) ვინაიდან საქართველოს მთავრობა რუსეთის სოციალ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში გზავნის თავის წარმომადგენელს მოქალაქე მახარაძეს (საქართველოს სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრს), მეორე დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა რუსეთში სთვლის სრულიად ზედმეტად;

4) რაც შეეხება დელეგაციის მიზანს: რუსეთისთვის საქართველოს ნამდვილ მდგომარეობის და ცხოვრების გაცნობა და აგრეთვე საქართველოს გაცნობა საბჭოთა რუსეთის ცხოვრების—ყოველივე ეს შეუძლიან გააკეთოს საქართველოს წარმომადგენელმა საბჭოთა რუსეთში მოქალაქე მახარაძემ და რუსეთის სოციალ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ბეჭდითი ბიურომ“.

ამგვარად მართლულობენ თავს, მაგრამ ვეჭვობთ, ვინმე დააჯეროს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ, რომ კომუნისტებს რაიმე გასავალი ან ნიადაგი აქვთ საქართველოში. ბოლშევიზმი დიდი ხანია, რაც დაგმო საქართველოს დემოკრატიამ, მაგრამ გულს მაინც არ იტეხენ, იმედიც კარგი საქმეა...

ჩვენ არც იმის იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ოფიციალურ წარმომადგენელს ბ-ნ მახარაძეს მისცემენ საშუალებას, სასწორით გაგვაცნოს დღევანდელი საბჭოთა რუსეთის ყოფა-ცხოვრებას.

ევროპის სოც. დელეგაცია.

ევროპ. სოციალისტური დელეგაცია მუშ. პროფ. ცენტ. საბჭოში.

სექტ. 17 ევროპის სოციალ. დელეგაცია მუშათა სასახლეს ეწვია და გაეცნო საქართ. პრ. კავშირების მოქმედებას და მუშათა მდგომარეობას. პრ. კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის სახელით დელეგაციას აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე დევდარიანი მიესალმა.

დევდარიანის სიტყვა.

მუშათა სასახლეში მე მივესალმები, სთქვა პრ. კავ. ცენტრ. საბჭოს თავმჯდომარემ, ჩვენ ამხანაგ-მასწავლებლებს, როგორც დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენლებს. მსოფლიო ომის დროს შესწყდა ჩვენი ორგანიზაციული კავშირი, მაგრამ ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში დაუღალავად მივდიოდით სოციალისტურ იდეალების განხორციელებისაკენ, და თქვენთან იდეურ ნათესაობას არასდროს არ ვწყვეტდით. თქვენ ეწვიეთ ჩვენ დამფუძნებელ კრებას—რესპუბლიკის ამ წარმომიდგენელთა ორგანოს. თქვენ ნახეთ მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია—მუშათა დეპუტატების საბჭო. ნახეთ პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო—ს.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, და ეხლა დაბოლოს ეწვიეთ პროფ. კავშირთა უმაღლეს ორგანოს. პირადი გაცნობით თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, რომ ეს ორგანიზაციები გამსჭვალული არიან ერთის მისწრაფებით, გამხნევებულნი არიან ერთის იდეიით, რომლისთვისაც იბრძოდით და იბრძვით და რომლისთვის ბრძოლა ჩვენი გვასწავლეთ. ჩვენ გიცნობდით თქვენ ყოველთვის, თქვენ გაგვიცნობთ ჩვენ მხოლოდ ახლა. ჩვენ ინტერნაციონალში შევდიოდით როგორც რუსეთის მუშათა კლასის პატარა შემადგენლობითი ნაწილი. მაგრამ რევოლიუციამ დიდი ცვლილებები გამოიწვია. ისტორიის გზამ ჩვენ ჩამოგვაშორა რუსეთს. რუსეთის მუშათა კლასი ჩამოშორდა იმ კლისთა გზას, რომელიც თქვენმა უდიდესმა წინამორბედებმა დახატეს. ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში დაკარგეს სოციალისტური ღირსება, რომელიც შევინარჩუნეთ ჩვენ ეროვნული დამოუკიდებლობის ჩარჩოებში. საქართველო იწყებს ახალ ხანას ისტორიაში, როდესაც მუშათა კლასი თავისი ძალა-უფლებით, თავისი უშუამავლო გავლენით სახელმწიფოებრივ აპარატზე ატარებს სოც.-დემ. პროგრამის მინიმუმს. საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მუშათა კლასი მთელი ქვეყნის ნამდვილ მფლობელს წარმოადგენს, სადაც იგი უსისხლოდ და იმ მკაცრის უკუგდებით, რომელმაც დაანგრია რუსეთი ანხორციელებს თავის დიქტატურას. საქართველოში მთელი მუშათა კლასი პროფ. კავშირებში შედის. ჩვენ ვცდილობთ, რომ არც ერთი მუშა არ დარჩეს კავშირის გარეშე. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ჩვენთან სულ სხვა და სხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი, მაგრამ პროფ. კავშირებს შეუძლიათ იამაყონ მონაპოვარით. ისინი ინახავენ მუშათა მთლიანობას. უხდებათ ხელმძღვანელობის გაწევა ეკონომიურ ბრძოლაში. ამასთანავე მათი მიზანია ამ ბრძოლის სტიქიაში შეგნების და მიზანშეწონილობის შეტანა. მუშები შეეჩვიენ სახელმწიფოს საკეთილდღეოთ პირად ინტერესების მსხვერპლის მოტანას. თუ რუსეთში მუშები ანგარიშს უწევენ მხოლოდ თავის პირად მოთხოვნილებებს, რომლებიც მრეწველობის განვითარებას ხელს შეუშლიან. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ ჩვენ მეტად ძნელ პირობებში და უსწორო ბრძოლაში გვიხდებოდა მუშაობა წარმოება. ამდენ ხანს ჩვენ განმარტოებულად ვგრძნობდით ჩვენ თავს ამ ბრძოლაში. ახლა ასეთი განცდა აღარ გვაქვს, ვინაიდან ჩვენ ვგრძნობთ თქვენ სიახლოეს. ეს გვაფრთოვანებს ჩვენ, და გვიმატებს ძალას შემდეგი ბრძოლისათვის.

(დასასრული იქნება).

ევროპ. სოც. დელეგაცია პროვინციაში.

19 სექტემბერს დილით დელეგაცია მიემგზავრება სამხედრო გზით ყაზბეგში, სადაც მოხვევთა თხოვნის თანახმად, გაიმართება მიტინგი.

20 სექტემბერს დელეგაცია დაბრუნდება ტფილისში.

21 სექტემბერს დილით დელეგაცია გაემგზავრება კახეთში; სად. გურჯაანში მოხდება მიტინგი. იმ ღამეს დარჩებიან წინანდალის მამულში.

22 სექტემბერს კი დაბრუნდებიან ტფილისში.

23 სექტემბერს დილით გაემგზავრებიან ბორჯომში. ცოტა ხნით შეჩერდებიან სად. გორში და ხაშურში.

23 სექტემბერს ღამით გაემგზავრებიან სად. შორაპანში, საიდანაც დილის 6 საათზე 24 სექტემბერს გაემგზავრებიან ჭიათურაში საც მივლენ 9 საათზე.

ჭიათურიდან დაბრუნდებიან საღამოს და ღამით გაემგზავრებიან სად. ტყვიბულში, სადაც იქნებიან 25 სექტემბერს დილით.

25 სექტემბერს ნაშუადღევის 3 საათზე დაბრუნდებიან ქუთაისში, ქუთაისიდან ღამით გაემგზავრებიან ფოთში.

26 სექტემბერს დილის 6 საათზე გაჩერდებიან სად. სამტრედიაში, გაჩერდებიან სად. აბაშაში. 8 საათ. ქ. ახალსენაკში იქნებიან 10 საათ.

იმავე დღეს ნაშუადღევის 2 საათზე დელეგაცია მივა სად. ფოთში. იმავე ღამეს დელეგაცია გაემგზავრება გურიაში.

27 სექტემბერს დილის 7 საათზე იქნებიან სად. ლანჩხუთში, 8 საათ. სად. სუფსაში, 9 საათზე სად. ნოტანებში და 12 საათზე ქ. ოზურგეთში. ნაშუადღევის 4 საათზე წამოვლენ ოზურგეთიდან ნოტანებით ქ. ტფილისში. ტფილისში დარჩებიან 27 და 28 სექტემბერს, დაათვალიერებენ მუშათა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს. 30 სექტემბერს დელეგაცია მიემგზავრება ბათუმიდან ევროპაში. არავითარი ცვლილება მგზავრობის ამ წესრიგში არ იქნება შეტანილი.

სოც. დელეგაციას პროვინციაში ყველგან გაყვება კ. გვარჯალაძე, დ. შარაშიძე, ვიქ. თევზაია, ნაზაროვი, ილია სადრაძე და პრესის წარმომადგენელი ლეო რუხაძე.

ბორჯომში დელეგაციას გაჰყვება ნოე ჟორდანია. კახეთში ნ. ხომერიკი, იმერეთში ალ. ლომთათიძე, ნ. რამიშვილი, დუშეთში დამატებით გაყვებიან: ბენ. ჩხიკვიშვილი, ვალ. ჯუღელი და დათ. ჩხეიძე. დეპუტატები წინდაწინვე მიდიან და პროვინციაში ადგილობრივად ხვდებიან. ზემოაღნიშნულ პირებს გარდა დელეგაციის გაყოლა არ შეიძლება.

მიღება დელეგაციასთან.

დილის 9 საათ. მელიქოვის სახლში პეტრე დიდის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული არიან დელეგაციის წევრები სხვა და სხვა პირების და დელეგაციების მიღება დაიწყო. დელეგაცია სხვათა შორის ინახულეს: გამოჩენილმა ანარქისტმა ჩერქეზიშვილმა, პრესის წარმომადგენლებმა, დაშნაკციუტუნის ფრაქციის დელეგაციამ და აზერბეიჯანის ქრისტიანების დელეგაციამ. აზერბეიჯანის დელეგაციამ ევროპის სოციალ დელეგაციას გადასცა პროტესტი ბოლშევიკების მოქმედების შესახებ აზერბეიჯანში. პროტესტში აღნიშნულია რომ ბოლშევიკებმა გაანადგურეს აზერბეიჯანი, და მორწყეს იგი სისხლით. ბოლშევიკების შემდეგ დარჩენილ ადერბეიჯანში ხალხის ფიზიკური გაწყვეტა შეიძლება მოყვეს. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება განათლებულმა და მით უმეტეს სოციალისტურმა ევროპამ.

ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი ლეჯავახეთში.

აგვისტოს 30, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ახალქალაქში წავიდნენ. მათ გაყვა ა. ჩხენკელი, გელეიშვილი, კიკვაძე ურატაძე და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე ქარცივაძე. თუმცა მთავრობის და დამფუძნებელ კრების წარმომადგენელთა მისვლა მოულოდნელი იყო, მაგრამ გლეხებმა მაინც იწყეს დენა ყოველ სოფლებიდან ახალქალაქში. ქალაქმა „სადღესასწაულო სახე მიიღო. ქალაქი მორთული იყო დროშებით, არკებით და გირლიანდებით. ქალაქიდან 7 ვერსის დაცილებით მთავრობის თავმჯდომარესა და მის მხლებლებს შეხვდენ: ჯავახეთის სამაზრო ერობის პირველი გამგეობა, ადგილობრივი სახალხო გვარდიის წარმომადგენლები, მილიცია თავის უფროსის მეთაურობით და ცხენოსანი თუშელი მწყემსები ეროვნულ ტანისამოსში. ქალაქში შესვლისას ნ. ჟორდანიას მიეგებნენ ქართველი კათოლიკენი, რომლის წარმომაგენელმა მისასალმებელი სიტყვაც კი უთხრა მთავრობის თავმჯდომარეს. სახალხო გვარდიის შტაბის წინ გაკეთებული იყო თაღი წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. აქვე იყო გამწკრივებული გვარდიელები და მოქალაქენი ქალაქის საბჭოს დეპუტატთა მეთაურობით, რომლებმაც მთავრობის თავმჯდომარეს პურ მარილი მიართვა. ერობის გამგეობამ მოიწვია საერობო კრება, სადაც მთავრობის თავმჯდომარემ განუცხადა თუ ვინმეს გაქთ გასაცხადებელი საჩივარი ან თხოვნა მომმართეთ აქვეო. ამ კრებაზე სიტყვები სთქვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა და აკ. ჩხენკელმა. კრების შემდეგ ნ. ჟორდანიამ და მისმა მხლებლებმა დაათვალიერეს ერობა, საავადმყოფო და აზარმა. აზარმასთან მათ საპატიო აარაული შეხვდა იმავე ერობის გამგეობის თავმჯდომარის ბინაზე შესდგა თათბირი სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. აგვისტოს 31, ნ. ჟორდანიამ და მისმა მხლებლებმა ვარძის მონასტერი დაათვალიერეს. მათ გზაში გლეხები აღფრთოვანებით ხვდებოდათ. ნ. ჟორდანია გლეხთა წარმომადგენლებთან მუსაიფს მართავდა და ეკითხებოდა მათი ცხოვრებისა და გაჭირვების შესახებ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო სარევიზიო კომისიის განცხადება

(სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და სხვა ორგანოებთან საყურადღებოთ აგრეთვე პასუხად მოქალაქე ვამრეკელს).

გაზეთ „სახალხო საქმის“ № 926 მიმდინარე წლის 11 სექტემბრიდან მოთავსებული არის ღია წერილი ვილაც ბ. ვამრეკელის დამფუძნებელ კრების წევრის ივანე ალექსის ძე ტატიშვილის მიმართ, რომლითაც ავტორი ამ წერილისა, აწერს ბ-ნ ტატიშვილს სხვა და სხვა შეუფერებელ მოქმედებებს.

გაუგებრობის თავიდან ასახსნელად რადგან ეს წერილი არის აგებული სრულ სიყალბეზე, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სარევიზიო კომისია, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს საზოგადოება, არ შელახოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების წევრის პიროვნება და თავიდან ააშოროს მას ყოველ გვარი მითქმა-მოთქმა მოვალეთ ვრაცხთ თავის თავს განვაცხადოთ შემდეგი:

მიწათ-მოქმედების საგანგებო სარევიზიო კომისიაში რათა სამართლიანობა იქნას დაცული, რომ კომისიამ არ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც დაეაქუცმაცებს მშრომელი მასსის უფლებებს, ეწევა თანამშრომლობას გორის მაზრაში კულტურულ მუშაობისთვის გაგზავნილი დამფუძნებელ კრების წევრი ი. ა. ტატიშვილი.

ყოველ გვარ განკარგულებებს კანონის ფარგლებში ამა თუ იმ პირის პასუხის გებაში მიცემისას ან დაპატიმრებისას იძლევა ერობის შემდგომ საგანგებო კომისია და არა დამფუძნებელ კრების წევრი ი. ა. ტატიშვილი. ესეთივე მოხდა მეჯვრის ხევშიაც და იქმნენ დაპატიმრებულნი პასუხისგებაში მიცემით ვლადიმერ ჩიკოიძე, სვიმონ ყანჩაველი, მღვდელი სეით გამრეკელი, მიხეილ ჩიკოიძე და ვანო შახნაზაროვი. უკანასკნელი დაპატიმრებისგან იქმნა განთავისუფლებული, რადგან დანაშაულში გამოტყდა. მიხეილ და ვლადიმერ ჩიკოიძეებს ბრალი ედებათ იმაში, რომ მათ რათა მიეთვისებიათ სახელმწიფო ქონება, შეადგინეს და ხელი მოაწერეს ყალბ გაყრილობის საბუთს, რის საშუალებითაც სახელმწიფო ქონება იქმნა მათ მიერ მითვისებული, ხოლო მღვდელი სეით გამრეკელი, ვანო შახნაზაროვი და სვიმონ ყანჩაველი იმისთვის, რომ მათ ხელი შეუწყვეს ყალბი საბუთის შედგენაში და სახელმწიფოს ქონების მითვისებაში იმით, რომ ხელი მოაწერეს ყალბ გაყრილობის განაჩენს. ყველა ეს არის დადასტურებული უტყუარის საბუთებით და ამ ყალბ საბუთის შემდგენთაგანი დანაშაულში გამოტყდა. კერძოდ მღვდელ სეით გამრეკელს ბრალი ედება იმაში, რომ მან მოაწყო ყველაფერი ეს და თავისივე ხელით შეადგინა და დასწერა ყალბი გაყრილობის განაჩენი, დაასვა წანაბაძი ხელწერა და სხვა.

ყველა ეს მოქმედებანი რესპუბლიკის კანონებით არის გათვალისწინებული, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

ამას გარდა ზოგიერთ მათგანის მეჯვრისხევის რაიონში ყოფნა კომისიას მიაჩნია დაუშვებლად აგრარული რეფორმის ნაყოფიერებისათვის, რადგან ისინი ეწევიან შეუფერებელ, მიწის რეფორმის წინააღმდეგ, აგიტაციას.

აღნუსხულ მიზეზების გამო რესპუბლიკის კანონებმა აღნიშნული პირები დააპატიმრა და არა ი. ა. ტატიშვილმა.

როგორც კომისია, აგრეთვე დამფუძნებელ კრების წევრი ტატიშვილი მათი დადგენილების სისრულეში მოყვანის დროს არამც თუ მეჯვრისხევში, არამედ გორის მაზრაშიაც არ ყოფილან სამსახურის საქმეების გამო.

ჩვენ ვიცით, რომ დამფუძნებელ კრების წევრი სათანადო პასუხს გასცემს უპასუხის-

მგებლო ღია წერილის ავტორს, ხოლო თავის მხრივ კომისია გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას, რომ ვიგინდარა ჯალმოსნები ასე უდიერად ეპოტინებიან დამფუძნებელ კრების წევრის პიროვნებას, კანონის გამომცემს ასწავლიან კანონებს და სხვა, რითაც პრესტიჟს სცემენ მთელი საქართველოს ხალხისას.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

მ. ხუხუნაიშვილი.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

მილიერანის პოლიტიკა.

პარიზი, 10 სექტემბერი. „მატენი" ეხება რა საფრანგეთსა და უცხოეთს შორის არსებულ დამოკიდებულებას, აღნიშნავს, რომ მილიერანი მომავალშიაც პატარა ერების დახმარების პოლიტიკას აწარმოებსო. ეს გამოაშკარავდა პოლონეთსა და უნგრეთთან დამოკიდებულებაში და ეს გამოჩნდა ყველა იმ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში, რომელიც საფრანგეთის დასამარებას საჭიროებს. რა თქმა უნდა ამ დახმარებას დადებითი მხარეები აქვს თვით საფრანგეთისთვისაც, რომელიც თავის გავლენას ჩეხოსლოვაკიაზე, ზემო სილეზიაზე, პოლონეთზე, რუმინიაზე და სამხრეთ-სლოვაკიაზე გაავრცელებს. უნგრეთი თვითონ ითხოვს საფრანგეთის გავლენის გავრცელებას. გაზეთი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ უნგრეთმა თავის მხრით საფრანგეთსა და ინგლისს მოსკოვთან ბრძოლაში დახმარება უნდა აღმოუჩინოსო.

„მატენის" ცნობით უნგრეთის წინადადება მიღებულია და ხელმოწერილია პალეოლოგიის და ჯალმასის მიერ.

ბოლშევიზმის საკითხი.

პარიზი, 10 სექტემბერი. „ფიგარო" ბოლშევიზმის საკითხს საგანგებო წერილს უძღვნის: ვინც კი ნახულობს საბჭოთა რუსეთს, აღნიშნულია წერილში, იქიდან საშინელ შთაბეჭდილებით ბრუნდება. გამონაკლისს შეადგენს კამენი, რომელიც რუსეთს გულუბრყვილოდ უჯერებდა. „წმინდა რუსეთი" საშინელებათა და სიკვდილის ქვეყნად გადაიქცა. ბოლშევიკებმა დაანგრიეს იგი. მცხოვრებთა მორალური განწყობილება მატერიალურ სიღატაკეზე უფრო საშინელია. „ილუსტრასიონის" კორესპონდენტი სწერს: ხალხი გაგიჟდა. ბოლშევიზმმა სექტანტური მოძღვრების ხასიათი მიიღო. ამ მოძღვრების საფუძველს სიმკაცრე შეადგენს. წერილის ავტორი აღნიშნავს ფილოსოფიურ სიახლოვეს ლენინის მიმდევართა და ნიცშეანელთა და გოგენ-ლოლერნთა თაყვანის მცემლობის შორის, რომელთა აზრით სახელმწიფომ არ უნდა მიაქციოს ყურადღება პიროვნების ტანჯვას და რომ პიროვნება მსხვერპლად უნდა შეეწიროს სახელმწიფოსო.

შერეული პოლკი.

ბერლინი, 10 სექტემბერი. „ფოსიშე ცაიტუნგი" იუწყება: იმ ბოლშევიკურ ჯარების შორის, რომლებიც პრუსიის საზღვრებზე გადავიდა შენიშნულია შერეული პოლკი, რომლის ჯარის კაცები და ოფიცრები უმთავრესად გერმანელებიაო.

იაპონიის სარდლის განცხადება.

„ტანის" ცნობით ციმბირში მდგარ იაპონიის ჯარების სარდალმა ოიმ შემდეგი განაცხადა: ჩემის დაკვირვებით საბჭოთა წყობილება ვერ იქნება ხანგრძლივი, ვინაიდან ხალხი მას არ თანაუგრძნობს და პირველ შემთხვევისათანავე ზურგს შეაბრუნებს. ეჭვი არაა მოკავშირეები გამოიმუშავებენ საერთო ხაზს ბოლშევიკებზე თავდასასხმელად. იაპონიას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ არაფერი ექნება თუ ბოლშევიკები შინაურ წყობილებას შესცვლიან. ოის აზრით საჭიროა შეიქმნეს აღმოსავლეთ ციმბირში ბუფერი სახელმწიფო, რომლის მთავარი ქალაქიც ვლადივოსტოკი იქნება. ეს სახელმწიფო უნდა იქმეს დემოკრატიული. მას იაპონია ფინანსიურ-ეკონომიურ დახმარებას აღმოუჩენს.

მოსალოდნელია გაფიცვა.

ადგილობრივი პრესის ცნობით ინგლისში შესაძლებელია კვლავ თავი იჩინოს მაღაროში მომუშავეთა გაფიცვამ.

რეფერენდუმმა შემდეგი გამოარკვია: გაფიცვას ხმა მისცა 374467 კაცმა წინააღმდეგ წავიდა 121581 კაცი. პარლამენტის წევრი და მუშათა პარტიის ლიდერი გენდერსონი ურჩევს ლოიდ ჯორჯს დაუყონებლივ დაბრუნდეს ლონდონს და მოაწესრიგოს ეს კონფლიქტი.

ჟურნალისტთა ყრილობა.

ვენეციის პრესის ბიურომ იტალიის პრესის ასოციასთან შეთანხმებით გადასწყვიტა: მოიწვიოს ვენეციაში ოქტომბრის პირველ რიცხვებისათვის ჟურნალისტთა საერთაშორისო ყრილობა.

„ობასრევერის" ცნობით ტაკე-იონესკი ამ დღეებში ჩავა ათინაში საბერძნეთთან ბალკანეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ ფედერაციაში შედიან რუმინია, სამხრეთ-სლავია და ჩეხო-სლოვაკია: ვენიზელოს განზრახული აქვს ამ საქმეზე ბუქარესტში წავიდეს.

(გაზეთებიდან

ჟენევის კონფერენცია.

„მატენის" ცნობით ბრიტანეთის წარმომადგენლებმა წამოაყენეს ახალი პროექტი, რომელიც მეტად წაგავს დე-ლა-ბრუას პროექტს, რომლის ძალით გერმანიის კომისიასთან ერთად უნდა დაინიშნოს განსაკუთრებული კონფერენცია ჟენევაში. პროექტი გაგზავნილია ლლოიდ-ჯორჯთან და ამ დღეებში მოელიან მის პასუხს.

ბრიუსელის კონფერენცია.

გერმანია, ინგლისი და ბულგარეთი ბრიუსელის კონფერენციაზე მიწვეულნი იქნებიან, როგორც სრულ უფლებიან ხმის მიმცემელნი.

მილერანის კანდიდატურა.

„მატენის" ცნობით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მილერანი კატეგორიულად უარს ამბობს პრეზიდენტის კანდიდატურაზე.

საბჭოთა რუსეთი.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

მოსკოვი, სექტემბრის 8. პრესის მიმოხილვა. ტროცკი თავის წერილში „დასავლეთი ფრონტი" სწერს: პოლონეთის მთავრობის წევრთა მოქმედება იმის მაჩვენებელია, რომ პოლონეთს ზავი კი არ უნდა, არამედ ომის გაგრძელება. ეს იმას ნიშნავს, რომ ლატვიის, ბელორუსიის, პოლონეთის და გალიციის ველებზე კვლავ ხდება თავგანწირული და დაუნდობელი ბრძოლები, პოლონეთის მემამულეთა, ლატვიის, ბელარუსიის და უკრაინის გლეხებზე გასაბატონებლად. ის ბრძოლები, რომელიც დასავლეთ ფრონტზე სწარმოებს რუსეთის მუშა-გლეხთა და საერთოდ მუშათა კლასის და მთელი ქვეყნის ბედს გადასწყვეტს. ახალ მსხვერპლის გასაღებად წითელი ჯარი და მასთან ერთად მშრომელი ხალხი მზად უნდა იყოს უზრუნველყოს დასავლეთ ფრონტზე მდგარი ჯარი სურსათით, რომ ბრძოლების განვითარებას მებრძოლთა გამოუკვებლობამ არ შეუშალოს ხელი. მოსავლის მოგროვების შემდეგ ჯარის სურსათით უზრუნველყოფა პირველ რიგში უნდა დავაყენოთ. გლეხებს ხშირათ უნდა გავახსენოთ გახსოვდეთ დასავლეთის ფრონტი. ის გიწვევს შენ. წითელ არმიელს ჩაცმა უნდა. ამი ტომაც ასეთ სამრეწველოებში მუშაობა უნდა გაძლიერდეს. ომით აკლებულ და განადგურებულ დასავლეთის მიდამოებში წითელი არმიელი ადგილობრივად ვერაფერს ვერ შოულობს. მისთვის ძვირფასია ჯარის ზურგიდან გაგზავნილი ნემსი, ძაფი, ფოლაქი და სხვა. უნდა შევადგინოთ შეწირულებათა მომგროვებელი ორგანიზაცია. ზედმეტი ხელი თეთრეული ფრონტს უნდა მიეცეს. დასავლეთის ფრონტს უნდა ვინტოვკები, პატრონები, ტყვიისმფრქვეველები და სხვა. ტუალის, მუგანის, სიმბირსკის და ზლატოუსტის მუშები დასავლეთის ფრონტზე ფიარაღოთ არ დასტოვებენ. ვინც დასავლეთის ფრონტზე მიდის მას დაბრკოლება არ უნდა ხვდებოდეს. იმ ვაგონს, რომელსაც დასავლეთის ფრონტზე სამხედრო მასალა მიაქვს თან მიაქვს რუსეთ—პოლონეთის ბედი. რკინის გზელო გახსოვდეს ეს: დასავლეთის ფრონტს შენი იმედი აქვს. ჩვენ მრავალ მკაცრ ბრძოლის წარმოება გვარგუნა ბედმა. ამ ბრძოლებზეა დამოკიდებული რუსეთის ბედი.

სამხედრო ცნობა.

გროდნოს დასავლეთით ვოლგოვისთან ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა. ჩვენი ჯარები გობრინს ნაყოფიერად უტევენ. კაჯელისა და ლუცკის რაიონში თავგანწირული ბრძოლებია. ლვოვის რაიონში თავგანწირული ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა სტანისლავჩიკისაკენ დაიხიეს. დაბა სოკალთან ბრძოლები გძელდება. ყირიმს ფრონტზე ორეხოვის რაიონში მტრის ცხენოსან ჯართან თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ ტოკმაჩკა პოლოგის რკინის გზისაკენ დავიხიეთ. აქ ბრძოლები გძელდება. აზოვის ზღვაში ჩვენმა ფლოტილიამ მტრის გემებისაგან შემდგარი ფლოტილია გაანადგურა.

რიგაში.

დმოცსკისა გრაბსკისა და კულჩიცკის მეთაურობით რიგაში პოლონეთის დელეგაცია მოვიდა. დელეგაციის თავმჯდომარემ დამოვსკიმ განაცხადა: რიგაში მოლაპარაკება გაგრძელდება. ბინსკის საზავო მოლაპარაკებისა და პოლონეთის ზავის პირობები დამოკიდებული არ არის პოლონეთის ეხლანდელ სამხედრო მდგომარეობაზე და რომ პოლონეთის დელეგაციის ინსტრუქციაში სერიოზული ცვლილება არ არის შეტანილიო.

ახალი ამბები

კანონების გადასინჯვა. რესპუბლიკის კანონების გადასასინჯავად დანიშნული კომისია შემდეგ კანონ-პროექტების შედგენას შეუდგა: 1) კანონ-პროექტი სამოქალაქო ქორწინების შესახებ და 2) მცხოვრებთა სამოქალაქო რეგისტრაცია მეტრიკული აღმოწერილობის მაგიერ.

მთავრობის დადგენილება: 1) მიენდოს გზათა მიმოსვლის მინისტრს მოაწყოს ბათომში, სამტრედიაში და ტფილისში სამგზავრო მატარებლების დეზინფექცია, 2) მიენდოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს ყოველდღიურად გამოუშვას საგანგებო ბიულეტენები პრესაში გამოსაცხადებლად გადამდებ სენთან წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სავალიუტო ფონდი. სახელმწიფო ბანკი იუწყება: თანახმად მთავრობის დადგენილებისა აგვისტოს 31 სახელმწიფო ბანკში შემოდის 25% მ. წმინდა მოგებიდან, რომელსაც მთავრობა სხვა და სხვა სავაჭრო ოპერაციებიდან იღებს.

პაპის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან. ტფილისში პაპის დელეგატი ეფისკოპოზი მორიონტი ჩამოვიდა. სექტემბრის 17 მორიონტი მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო.

შრომის სამინისტროში

ფოთის ნავთსადგურის მუშები.

თანახმად მთავრობის 19 აგვისტოს დადგენილებისა შრომის სამინისტროს მიერ მოწვეული იყო თათბირი ფოთის ნავთ სადგურში მყოფ დამტვირთავთა, ფოთის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა და საბაჟოს მუშათა მუშაობის მოწესრიგების საკითხის შესახებ. თათბირს შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ლ. ო. ქელბაქიანი თავმჯდომარეობდა. თათბირზე აღნიშნეს მუშაობის წესრიგის ანორმალობა, რომლის შედეგია ხშირად დროს უნაყოფოდ დაკარგვა და მუშა დამტვირთავთა მუშაობის ნაყოფის შემცირება. მსჯელობის შემდეგ თათბირმა დაადგინა: ზაფხულის თვეებში ესე იგი 1 მარტიდან 1 ოქტომბრამდე მუშაობა დამტვირთავთა და საბაჟოს მუშა მოსამსახურეთა იმ ნაწილის, რომელიც ფოთის მუშა-დამტვირთავთა მუშაობასთან არის დაკავშირებული, უნდა იწყებოდეს დილის 6 საათიდან დათავდებოდეს დღის 4 საათზე, ორი საათის დასვენებით 11 საათიდან 1 საათამდე, ზამთარში, ესე იგი 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე მუშაობა უნდა დაიწყოს დილის 7 საათზე და დასრულდეს დღის 5 საათზე ორი საათის დასვენებით დღის 12 საათიდან 2 საათამდე.

მუნიციპალ. ცხოვრება

სილნაღის ქალაქის თვითმართველობაში.

—7 სექტემბრის სხდომა ზექალაქის ხმოსანთა საბჭომ დაადგინა: დამტკიცებულ იქნას ხორცზე შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი 30 მან. გირ., ქამეჩის—20 მ., ცხვრის 50 მ., დედალი ცხ.—45 მ., თხის—40 მ., თხის მე-2 ხარ. —35 მ., ცხვრის დუმა—120 მ.

— აღძრულ იქნას შუამდგომლობამთავრობის წინაშე, რათა ქ. სილნაღის თვითმართველობას მიეცეს სესხის სახით საჭირო თანხა წყალსადენის შესაკეთებლად, სესხის აღება დაევალოს გამგეობას.

— გახსნილ იქნას დაწყებით სასწავლებელთან 2 მეოთხე განყოფილება, ერთი ნუკრიანში და ერთი სილნაღში. იმავე განყოფილებებში მიღებულ იქმნან უპირველესად ქ. სილნაღის მცხოვრებთა შვილები და თუ ვაკანსიები დარჩება—სოფლების მცხოვრებთა შვილებიც.

— გამგეობის წევრი ნიკოლაიშვილი დაინიშნოს გამგეობის წარმომადგენლად ქალაქის განაპირა უბნებში.

ნავთის მონოპოლია

ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულია განკარგულება ნავთზე სახელმწიფო მონოპოლიის კანონ-პროექტის საჩქაროდ დამუშავების შესახებ. ამ პროექტს შედგენისთანავე საბჭოში განიხილავენ. ნავთის მონოპოლიის შემოღების საჭიროებას შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებენ: უკანასკნელმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ იმ წამსვე, როგორც კი გაძნელდება ნავთის შემოტანა, მისი ფასი საშინლად იზრდება. ამასთანავე ნავთს და მის პროდუქტებს ქვეყნის მეურნეობის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ პირობებში, ქვეყნის ნავთით მომარაგების საქმის კერძო ინიციატივის ფარგლებში დატოვება, ნაშნავს მრეწველობის განვითარებაში და საერთო ცხოვრებაში არევ-დარევის შეტანას. ერთად ერთი საშველება ასეთ მოვლენის თავიდან ასაცილებლად არის ნავთის ვაჭრობის სახელმწიფოზე გადაცემა, ესე იგი სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება ნავთზე.

ტფ. ქალაქის თვითმართველობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი.

— უკანასკნელი დადგენილებით სახალხო განათლების სამინისტროს მიმაროვის და მთავრობის ამა წლის 7-ს სექტემბრის დადგენილების თანახმად ქალაქის გამგეობამ უნდა ჩაიბაროს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის უძრავ-მოძრავი ქონება. უნივერსიტეტის საბოლოო ლიკვიდაციის შემდეგ მთელი ქონება გადაეცემა ქალაქის გამგეობას თავის კულტურულ-განმანათლებელ მიზნების განსახორციელებლად. ამ უნივერსიტეტის ქონების მისაღებად შესდგება განსაკუთრებული კომისია შემდეგი პირებისაგან: იურის-კონსულტი—მ. ხუბერიანი; კონტროლიორი—ე. ვართანესოვი; ინჟინერი აბელაშვილი და ეკზეკუტორი გ. ანანიაშვილი.

— ბოდბის წმ. ნინოს მონასტერის იღუმენიის შუამდგომლობა, რათა მას ნება დაერთოს ბოდბის მონასტერთან არსებულ დამწვარ სასწავლებლის სასარგებლოდ ტფილისში მოწაფეებმა ყულაბებით შეაგროვონ ფული—ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა.

— გამგეობას აზრად აქვს 19 თებერვლის ქუჩა გაგანიერეს ქუჩა. იმდენად ვიწროა, რომ ზოგ ალაგას 4—5 საჟენს ძლივს აღემატება. ეს ქუჩა ერთად-ერთ გამაერთიანებელ ადგილად ითვლება: ხარფუხის შუა ბაზრის, რიყის და რკინის გზის სადგურის. ამიტომ გამგეობას საჭიროდ მიაჩნია, ქუჩა გაგანიერდეს 7, 8 საჟნამდის. ქუჩის გაგანიერება მოხდება თანდათანობით, როდესაც რომელიმე პირი სახლის მეპატრონე მოინდომებს დაძველებულის სახლის მაგივრად ახალი ააშენოს.

— გამგეობამ მცხოვრებთა ,ხოლერისგან ავად გახდომის უზრუნველსაყოფად ქალაქის ცენტრალურ და ავლაბრის სამკურნალოებში დააწესა ხოლერის უფასო აცრა.

— ქალაქის მეორე საავადმყოფოში მასალის გაძვირების და უქონლობის გამო, გადიდებულ იქნება რენტგენის კაბინეტის გადასაღები შუქის ფასი, 200 მანეთის მაგივრად იქნება 500 მანეთი. სურათების გადიდება ეღირება 1000 მანეთი.

— ის აბანოები, რომელნიც მიწად მოქმედების სამინისტროს მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა გადაეცა ქალაქის გამგეობას.

— ქალაქის ცენტრალურ ელექტრონულ სადგურში მდგომი 35 ცხენის ძალის მატორი—ქალაქის გამგეობამ გადასცა სამაზრო ერობას ერთი წლის ვადით სამეურნეო დარგის საჭიროებისათვის.

— ქალაქის თვითმმართველობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე; რათა მას ნება დაერთოს დაატუსაღოს ადმინისტრაციული წესით ის პირები, ვინც ხელოვნურად მოისურვებს სურსათ-სანოვაგეს გაძვირებას.

— გამგეობამ სარძეო ფერმის მოწყობა, ციტოხცევის ყოფილ მამულში სოფელ ოლგინსკოში, მიანდო სასურსათო განყოფილებას.

— სასურსათო განყოფილებამ „ხორცის" ამხანაგობასთან შეჭკრა ხელშეკრულება, შემდეგ პირობებზე: საქონელი უნდა იყიდოს სასურსათო განყოფილებამ და მისცეს „ხორცის" ამხანაგობას. დაკლული საქონელი განაწილდება ამხანაგობა „ხორცის" და სასურსათო განყოფილების შორის.

— სამისამართო მაგიდის ხარჯების დასაფარავად ქალაქის გამგეობამ შემდეგი ფასები დააწესა: 1) საბინაო დავთარი 50 მ.—100 მ.

100 მ.—200 მან., 200 მ.—300 მ. და 300 მ.—600 მანეთამდეს. 2) სამისამართო ბარათი—2 მ.—50 კ. მაგიერ 10 მანეთი ეღირება. 3) ცნობის ფურცელი 1 მ. 50 კ., მაგიერ 5 მანეთი.

ფოსტა-ტელეგრაფში

ხია ჩაუბარებელ დეპეშებისა

16 სექტემბრისა.

1) ბათუმიდან—კორნელიას; 2) სანაინიდან კრასტილევსკის; 3) სუხუმიდან—პანაზადოვს; 4) ბათუმიდან—კარგანოვის 16; 5) თელავიდან—გევორკიანცს; 6) ახალქალაქიდან—კისტოსტუროვას; 7) დუშეთიდან—არუთინოვს; 8) ბათუმადან—დიდიმთავრის 115; 9) მანგლისიდან—ნიტოხტევას; 10) ერევნიდან—პირადოვას; 11) დუშეთიდან—მაყაშვილს; 12) ყაზბეგიდან—მაილოვს; 13) გუდაუთიდან ლოლობერიძეს; 14) ახალქალაქიდან ენიკოლოფოვს; 15) ცხინვალიდან—გოგაშვილს; 16) სანაინიდან—ტაბატაძეს; 17) ახალციხიდან—ივანიაშვილს; 18) ახალქალაქიდან ნიკოგოსოვს; 19) წაღვერიდან იოსელიანს.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წელს სექტემბრის 20 დღესსხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომა გაიხსნა 11 საათზე).

1) მაქსიმე კუბლაშვილის თედორე და თებრონე ქათამაძეებთან მამულის თაობაზე.

2) სიმონ ფიჩხაძის ივანე სექაიასთან დუქნის თაობაზე.

ერობა

ყველა სამაზრო ერობებს.

ერობათა კავშირის კომიტეტმა ყველა სამაზრო ერობას შემდეგი ცირკულიარული წერილით მიმართა: „ერობები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრან შინაურ ცხოველებს, რათა თავიდან აიცილონ ცხოველების გადაშენება, რომელიც არის შედეგი სხვა და სხვა ეპიდემიურ ავადმყოფობისა. ამ მოვლენას ვერ უმკლავდებიან გლეხები, რადგანაც მათ არა აქვთ სპეციალური ცოდნა, ბეითალთა რიცხვი კი მცირეა. საკითხი კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია სერიოზულ ზომების მიღება. იმ დრომდე, სანად საქართველოში არ არსებობს საბეითლო სასწავლებელი, აუცილებელია დაუყონებლივ მოწვეულ იქმნას სხვა ქვეყნებიდან მცოდნე ბეითლები, რომლებიც საჭირო დახმარების გაწევას შესძლებენ. ამ შემთხვევაში ფრიად საყურადღებოა დეპუტატ ბიულის მომართვა, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიის ბეითალთა კავშირს აქვს სურვილი გამოაგზავნოს კავკასიაში რამოდენიმე მცოდნე ბეითალიო. სასურველია ვისარგებლოთ ამ წინადადებით, რადგანაც ბეითლები საქართველოსთვის აუცილებელია. მაგრამ ამისათვის საჭიროა წინასწარ გავიგოთ თუ რამდენი სპეციალისტია საჭირო. ერობათა კავშირის კომიტეტი სთხოვს სამაზრო ერობებს აცნობონ რამდენი ბეითალია საჭირო და აგრეთვე აცნობონ თუ რა პირობებში მოუხდებათ მუშაობა საქართველოში მოწვეულ ბეითლებს. ბეითლები უნდა იქნენ უზრუნველყოფილი, რათა მათ ექნეთ შესაძლებლობა მთელი თავისი ცოდნა და მუშაობა ამ საქმეს მოახმარონ. ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს გამოგზავნილი.

მოწოდება.

ლანირ-ჭაგანის თემის მცხოვრებთა საზოგადო კრებამ 1920 წლის 11 სექტემბერს ერთხმათ დაადგინა ააგონ ამავე თემის ბაზრის მოედანზე სახალხო სახლი. ამ მიზნით დაარსდა ე. წ. ლანირ-ჭაგნის თემის სახალხო სახლის აღმაშენებელი კომიტეტი. მთელი საჭირო ხარჯები ფულის თუ მასალის შეგროვების სახით, დამყარებულია მხოლოთ თავისუფალ შემოწირულებაზედ.

ლანირ-ჭაგნის თემი შესდგება მხოლოთ 600 კომლისაგან. ფრიად გულუხვ შემოწირულებითაც კი ძალზედ საგრძნობია ამ პატარა თემის მცხოვრებთათვის ასეთი დიადი მიზნის განხორციელება მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით. მაგრამ მისწრაფება სინათლისიდმი იმდენათ ძლიერია ხალხში, რომ უკანასკნელი სრულიად ივიწყებს არსებულ ეკონომიურ კრიზისს და აღფრთოვანებით ეგებება ამ სასიქადულო საქმეს.

თემის მცხოვრებთა ასეთი ძლიერი წყურვილი განათლებისა და შეგნებული სურვილი სახალხო კულტურის ტაძრის აშენებისა ამ მწვავე ეკონომიურ კრიზისის დროს, არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ და არ ჰპოვოს გამოძახილი ყოველი მოქალაქის გულში, ვისაც ცოტა მაინც შერჩენია ხალხის სიყვარული, ოდესმე უფიქრია მის გონებრივ ამაღლებაზედ, ადამიანურ გრძნობებს ატარებს და ღირსეულ მოქალაქედ ითვლება საქართველოს რესპუბლიკისა.

ამისათვის ლანირ-ჭაგნის თემის სახალხო სახლის აღმშენებელი კომიტეტი მოგმართავთ თქვენის საკუთარის წვლილის გამოლებით თუ ნაცნობ მეგობრებში შემოწირულებათა შეგროვებით, დაეხმაროთ და ხელი შეუწყოთ ამ დიდ საქმეს. შეგროვილი შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ლანირ ჭაგნის სახალხო სახლს.

სახალხო სახლის აღმშენებელი კომიტეტი.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო, რომ მე დამფუძ. კრების წევრის გრ. ვეშაპელის ინციდენტს ბორჯომში თავიდანვე არ დავსწრებივარ; მე მივედი მხოლოდ ბოლოს, როცა ბ-ნა ვეშაპელმა უთხრა ინციდენტში მონაწილე ქალს, რომ მისი (ვეშაპელის) ვინაობის გასაცნობათ მას მიემართა მილიციისათვის.

ცხადია, მე რომ თავიდანვე ვყოფილვიყავი იმ ინციდენტის მოწმე, რომელიც პრესაში იყო აღნიშნული, მეც ისე ამაღელვებდა ბ-ნ ვეშაპელის საქციელი, როგორც იმის გამო აღელვებული იყვნენ ყველა იქ დამსწრენი.

გარდა ამისა საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე გრ. ვეშაპელის პოლიტიკური თანამოაზრე არასოდეს არ ვყოფილვარ.

კავკასიის რუს მწერალთა შეერთებულ კომიტეტის წევრი **მაზურკევიჩი.**

ანცხადებანი

სახლების ყიდვა და გაყიდვა

დავითის ქ. № 3, ბინა 2,

გოლოვინის პროსპექტის ახლო.

ინტელიგენტთა ჯგუფი.

2788 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო ბეგრის უფროსისგან № 5080, ალექსანდრე შალვას ძე ნიკოლაიშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2764 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოწმობა მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისგან 24 მაის 1920 წ. იუდელ ხიიმის ძე მანიევიჩის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს, 2769 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 298, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან აქვსენტი იაკოფის ძე დიმიტრიევის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2770 3—1

დაიკარგა ტფილისის I კერძო ლომბარდის ბილეთი № 88560, 2150 მან. ღირებულების გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2773 3—1

დაიკარგა მოწმობა და ატესტატი მიღებული ტფილისის რეალურ სასწავლებლიდან 1918 წ. ისაკ მარდუხის ძე შვარცის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2775 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან № 16959, ევდოკია ილიას ასული არონინას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2778 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 123, მიღებული ბახვის ერობიდან 31 დეკემბერს 1919 წ. მელქისედეკ ივანეს ძე ბოლქვაძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2783 3—1

მარიამ ბეჟანის ასული ბიძინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 577 3—1

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსი აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა ყოველგვარი ფუფუნების საქონლის შემოტანა საზღვარ ვარეთიდან აკრძალულია ა. წ. 4 ენკენისთვიდან. დადგენილება ესე ძალაში შედის 4 ენკენისთვიდან. 896 1—1

ტფილისის მე 11-ტე საბოქაულო უბნის სასამართლოს ბოქაული არღუთინსკი-დოლგორუკოვი აცხადებს რომ 1920 წლ. ოქტომბრის 5 სა დანიშნული აქვს საჯარო ვაჭრობა დილის 10 საათზე, მოძრავ ქონებაზე მარიამ დვოიჩენკოვისა, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას. ქონება იყიდება ივანე არუთინოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ავეჯი დაფასებულია 845 მან. რა ფასიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება მე-8 სამილიციო უბანში, კოტლაროვის ქუჩა № 6. 2751 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან კირილე გოგიბერიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2784 1—1

დაიკარგა № 18 მეტრიკული ამონაწერი მიღებული ტფ. ებრაელთა რავვინისგან ლევიაკოფის ძე შნაიდერის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2721 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან მიხეილ დიმიტრის ძე წვერავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2722 3—2

დაიკარგა მე 5 კლასის მოწმობა მიღებული გორის ვაჟთა გიმნაზიიდან 29 იანვარს 1920 წ. № 30. ევგენია ნიკოლოზის ასული ყულიჯანოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2724 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი მიღებული ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიიდან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან გრიგოლ ივანეს ძე წკეპლაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2729 3—2

დაიკარგა დროებითი სამსახურის ნუსხა მიღებული ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გერასიმე კონსტანტინეს ძე კოხრეიძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2730 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდან და ფულის კვიტანციები მიღებული საბარგო ეტლების ბიუროდან გეურქ დარბოს ძე დარჩევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2737 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ელენე გიორგის ასულმა ეფიმოვისამ შემოიტანა განაცხადება, რომ მისი ქმარი თევდორე (ფედია) მიხეილის ძე ეფიმოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1916 წელს, უკვალოდ დაიკარგა 1918 წელს, მის გამო აღნიშნული ელენე გიორგის ასული ეფიმოვსა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგული თევდორე მიხეილის ძე ეფიმოვის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2717 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. ქალ. მილიციის სამმართველოდან სიმონ ანდრიას ძე მაღლაკელიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2740 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მირგუსეინ მირმამედ-ოღლის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2741 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან დესდემონა ევგენის ასული ტერიანის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2744 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 422, მიღებული ყოფილ მე 7ვიდე საპოლიციო უბნიდან გიორგი გიორგის ძე გოგიაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2745 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან ვერა ლევანის ასული თოიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2746 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანტონი თედორეს ძე კაჭარავამ შემოიტანა განაცხადა, რომ მისი ცოლი ალექსანდრა პავლეს ასული კაჭარავა რომელზედაც ჯვარი დაიწერა 9 ნოემბერს 1914 წელს უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამოთხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა პავლეს ასულისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2749 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 109 ნუსხა; მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან დიმიტრი დარისპანის ძე ცქიტიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს 2742 3—2

დაიკარგა ღვინო-გასტრონომიულ მაღაზ. ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე ბასინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2719 3—3

ფოთის საბაჟო აცხადებს,

რომ ამა წლის 3 ოქტომბერს ქ. ფოთში საბაჟოს საწყობთან ნავთსადგურში დილის 10 საათზე

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიყიდება შემდეგი კონტრაბანდული საქონელი: ხანჯლები, ბამბის ქსოვილი, ნარმა, კედის ძაფი, პაპიროსის ქაღალდი, ასანთი, სპილენძის ჭურჭელი, საპონი, ყავა, ფანჯრის შუშა, საძირე ტყავი, ფარდაგი, მატყლის ქსოვილი

897 და ძველი ტანსაცმელები. 1—1

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენობაში (პლეანოვის პრ. № 4.)

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უფასოების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისათანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. 3—3

888

სახელმწიფო სტამბა

რედაქტორის მოვალ. აღმ. ვოლკოვი